№ 232
პარასკევი, 30 ოქტომბერი, 1898 წ.

გაზეთი ღირს:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური
„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1898

ივერია

№ 232
პარასკევი, 30 ოქტომბერი, 1898 წ.
რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.
„ივერიის“ ტელეფონი № 227

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ე. მ ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი.—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

ი. თ. პროტასევიჩი—12—1 საათ. ყურის, ყელის, ცხვირის და გულის ავადმყოფ.

ა. პ. კარაპეტიანცი. $1-1^{1}/_{2}$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. გ. გურკო. $1^{1}/_{4}-2^{1}/_{4}$ ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

გ. მ. მახვილაძე.—6—7 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

ა. ნ. შპაკოვსკი—6—7 საათ. ნერვების (ელექტროთერაპია), ვენერიული და კანის სნეულებ.

ბ. ა. ნავასარდიანი—$6^{1}/_{2}$—7 საათ.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана*.

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

(წ)

ახალი ამბავი

⁂ გუშინ ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი იყო პირობები, რომლითაც შეეკრა ცხენის რკინის გზის საზოგადოება ქალაქის თვით-მმართველობას. მოგვყავს კიდევ ზოგიერთი საყურადღებო მუხლი ამ პირობისა. საზოგადოება მოვალეა მისცეს ყოველ წლივ ქალაქის თვით-მმართველობას 150 მუქთი ბილეთი ცხენის რკინის გზით სასიარულოდ. ამათში 25 ბილეთით გამოსადეგი იქმნება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა. 25 ბილეთით კიდევ შესაძლებელი იქმნება მხოლოდ ფეხზედ დგომა ვაგონში.

ვერის ხიდზე გამვლელ თითო ვაგონზე საზოგადოებამ უნდა გადიხადოს 5 კაპეიკი.

ფასი იმ გზებზე, რომელიც ეხლა არის, იგივე დარჩება, რაც ეხლაა. ვარდისუბნის გზით გავლა ეღირება 3 კაპ. მუშტაიდიდგან ან ბულვარისა და ელისაბედის ქუჩების კუთხიდგან დიდუბის გზაზედ 3 კაპ. ერევნის მოედნიდგან შუაბაზარზე, თათრის მოედნამდე 5 კაპ. ამ მოედნიდგან ავლაბრის გზით 5 კაპ., საყასბომდე 5 კაპ., ერევნის მოედნიდგან სოლოლაკის გზით 5 კაპ. ბავშვს 5 წლამდე ბილეთის ფასი არ გადაჰხდება, ხოლო იმ პირობით, რომ ფეხზედ იდგეს.

საქონლის გადასატან გადმოსატანად დანიშნული იქმნება საგანგებო ნიხრი; ერთის ფუთის გადატანისათვის ერთს ვერსზე ¹/₂ კაპეიკზე მეტს არ აიღებენ. საქონლის დატვირთვისა და გადმოღების ნიხრი თვით ქალაქის მმართველობამ უნდა შეიმუშაოს. ახალის პირობით ქალაქის გამგეობას უფლება ექმნება გასინჯოს ხოლმე საზოგადოების დავთრები და ანგარიშები. პირობის დასამტკიცებელს ხარჯს კისრულობს უსახელო საზოგადოება. ეს ხარჯი 20,000 მანათამდე იქმნება. ამ ფულიდგან 1,200 მანათი ქალაქის სასარგებლოა. გერბის ქაღალდი პირობისათვის ეღირება 6,000 მანათად.

⁂ შაბათს, 31 ოქტომბერს, ქალაქის გამგეობის დარბაზში დანიშნულია სხდომა კომისიისა, რომელმაც ქუჩებს სახელები უნდა დაარქვას.

⁂ ქალაქის სახელოსნო სასწავლებლის დირექტორმა ბ-ნმა დანილოვმა შუამდგომლობა აღძრა იმის შესახებ, რომ მომავალ წელს სასწავლებელთან დაარსებულ იქმნას მოსამზადებელი კლასი.

⁂ ქალაქის სასწავლებელთა კომისიაში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ მიხეილის სახელოსნო სასწავლებელთან დაარსებულ იქმნას მოსწავლეებისათვის საავადმყოფო.

⁂ შაბათს, 31 ოქტომბერს ქალაქის საბჭოს დარბაზში მოხდება რუსეთის საიმპერატორო სატეხნიკო საზოგადოების კავკასიის განყოფილების წევრთა საზოგადო კრება. ამ კრებაზედ წაკითხული იქმნება ინჟინერის ტილეს მოხსენება.

⁂ 26 ოქტომბერს ქ. ბათუმში ქუთაისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილების სესსიას უნდა განეხილა თავ. მელიქიშვილის მოკვლის საქმე, მაგრამ, რადგანაც მოწმე თავ. მ. მ. შერვაშიძე არ გამოცხადდა, საქმის განხილვა გადადებულ იქმნა.

⁂ საკასაციო საჩივარი სოფ. ბრილელის ოთხის გლეხისა, რომელთაც სამოსამართლო პალატამ თავ. დიასამიძის მოკვლის გამო კატორღაში გაგზავნა გარდაუწყვიტა, სენატმა უყურადღებოდ დასტოვა და პალატის განაჩენი დაამტკიცა.

⁂ შაბათს, 7 ნოემბერს, „ტფილისის სობრანიის“ დარბაზში გამართავენ კონცერტს მასწავლებელ და აღმზრდელ ქალთა საზოგადოების სასარგებლოდ.

⁂ ორშაბათს, 2 ნოემბერს, სახელმწიფო თეატრში წარმოდგენა იქმნება გამართული ტფილისის ვაჟთა მე-3 გიმნაზიის მერვე კლასის შეუძლებელ მოსწავლეთა სასარგებლოდ. წარმოადგენენ ოპერა „აიდა“-ს. მსურველთ შეუძლიანთ ბილეთები წინ-და წინვე შეიძინონ კნ. ლ. ნ. ანდრონიკაშვილთან, ნიკოლოოზის ქუჩა, № 79.

⁂ ადგილობრივის რუსულის გაზეთების სიტყვით, კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებას აზრადა აქვს შუამდგომლობა აღძრას უმაღლესს მთავრობის წინაშე ამიერ-კავკასიაში გზების განკარგების შესახებ. გზების უქონლობა და უვარგისობა ხელს უშლის ქვეყნის ეკონომიურად განვითარების საქმეს.

⁂ „ახ. მიმ.“-ს სწერენ ბორჩალოს მაზრიდგან, რომ ამ ბოლოს დროს აქ ქურდობა და ავაზაკობა გაძლიერდაო. რამდენჯერმე გლეხებსა და ქურდებს შორის შეტაკებაც-კი მოხდაო.

⁂ ვენაში დაუბეჭდიათ უკანასკნელი თხუზულება ამას წინად გარდაცვალებულის ფილოლოგის ქარ. მიულლერისა „როგორ გაჩნდა ქართული ანბანი“ („ა. მ.“)

⁂ გაზეთ „კავკას“-ს ტფილისის მაზრის სოფ. დიღმიდგან სწერენ: ადგილობრივმა მემამულემ, ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა თავადმა კ. ი. მუხრანბატონმა წარსულ წელს აღუთქვა სოფელ დიღმის სამრევლო-საეკლესიო სკოლას შემწეობა ერთხანად 400 მანეთი, ხოლო ყოველ წლივ 100 მანეთი. მაშინ სასწავლებელი მაგრე რიგად არ საჭიროებდა ფულს. დღეს-კი სკოლის შენობა შეკეთებასა თხოულობს. მცხოვრებნი იმით ინუგეშებენ თავს, რომ თავადი დანაპირებს ასრულებს და სკოლას დახმარებას აღმოუჩენსო.

⁂ გაზ. „Сын. От.“ იუწყება, რომ არსდება ახალი საზოგადოება, რომელსაც აზრად ექმნება ჩრდილოეთ და ამიერ-კავკასიის ძველ, ისტორიულ ნაშთთა და ამ ადგილებში მცხოვრებთა ზნე-ჩვეულებების გამოკვლევა-შესწავლა.

⁂ „ახ. მიმ.“-ს პეტერბურგიდგან დეპეშით ატყობინებენ, რომ გადაყვანილ იქმნენ ზუგდიდის მომრიგებელ-მოსამართლის თანაშემწე ოსსოვსკი—ბათუმის მომრიგებელ-მოსამართლის თანაშემწედ, ხოლო ახალბაიაზეთის მომრიგებელ-მოსამართლის თანაშემწე სოხანსკი—ზუგდიდის მომრიგებელ-მოსამართლის თანაშემწედ.

⁂ გაზ. „Сынъ От.“-ს სიტყვით, მიწათ-მოქმედების სამინისტროს აზრადა აქვს გამართოს კავკასიის სხვა-და-სხვა ადგილას სამეურნეო იარაღის საწყობები, საიდგანაც ნისიად შეღავათით მიეცემა სასოფლო-მეურნეობისათვის საჭირო იარაღი გადმოსახლებულ გლეხებს.

⁂ სოფ. ქვალონი, (სამეგრელო). აქ თუმცა კარგი ნაყოფიერი მიწ-

ფელეტონი

ღვინის ვაჭრობა გარე კახეთში.

(დასასრული *)

IV

ღვინის ამოღება

(სცენა წარმოადგენს გლეხ-კაცის ეზოს, სადაც მარნის წინ ახდილია ქვევრი, ღვინის ამომღები ჩაფიანს აზორბლებს ბლომად ბაწარს, წნელის ჩასაბმელს, სირაჯი რუმბსა სინჯავს და აქა-იქ კონსა სცხებს, ღვინის პატრონ გლეხს გამოუტანია სინები და ტაბკები და გარს უწყობს ქვევრს, ორი ბიჭი დიდს ძაბრს უკეთებს რუმბს ყელში, სხვანი უყურებენ, ბოლოს აიღებს ღვინის ამომღები ჩაფიანს და დაიწყება ღვინის ამოღება).

ღვინ. ამომღ. აბა ხელადა გამოიტანეთ.

გლეხი. რა, ჰაშნიკი დაგაკლდათ? ხომ წაიღეთ ერთი ჩაფი, ეს რაღა მაზაა?

ღვინ. ამ. მაშ ღვინო რომ გაგისაღე, ღვინოს არ მაძლევ? აღარ გინდა, რომ მიმსახურო?

გლეხ. შენა? ჰო, ეგ სხვაა, თუმცაკი არ გეკუთვნის, თხუთმეტ თუმნიანი ღვინო რვა თუმნად გამიყიდე. (მოაქვს ხელადა).

ღვინ. ამ. (იღებს ტიკჭორაში ცალკე თავისთვის და სავსე ხელადას დასდგამს მაყურებლებისა და იმათთვის, ვინც შეესწრობა). აჰა, დალიეთ. (შემდეგ ხელადით ასხამს მაზრა) ეს ღმერთმა აღდეგრძელოს წამღებისა და ამომღების ოჯახი! ესეც ღმერთმა შეიწყალოს გამღების გარდაცვალებულების სული.

გლეხი. ეჰ, ჩემო ძმაო, შენ თუ მანდ ღვინო მიუმატე სირაჯს, ჩემ დედ-მამას მიუვა რამე აი! ეჰ, დაილოცოს, ღმერთო, შენი სამართალი, ესეც ჩვენ ჭირათ არის გაჩენილი, იმათი სიკვდილი არ გვეყოფა, რომ ეს ღვინოც არ გადავაყოლოთ? მაგრამ ვინ იცის ვინ დაიწესა, იქნება აი ემათ მოგონილია (მიიშვერს სირაჯისკენ ხელს).

ღვინ. ამ. (იღებს ჩაფით) ეს ერთი და ღმერთი! ერთი... ერთი არის, ერთია! ერთია.. ეს ორი... ორია...

გლეხი (სირაჯს) ეჰ, ჩემო ძმაო, აქ რომ ეგრე გულ-უხვად ირჯებით ხოლმე, რატომ იქ არ იცით, როცა თქვენ დუქანში ჩამოვალთ, ღვინოს მამა-სისხლათა ჰყიდით და ისიც ნეტა ღვინოსა ჰგვანდეს, ამ ღვინის ხელადის ნარეცხი სჯობია ხოლმე ნეტა ისე უღმერთოდ როგორა ნათლავთ? ბიჭებო, რას სდგეხართ, დალიეთ ღვინო! ისიდორე, მოგვართვი კიდევ ღვინო! (ღვინ. ამ. იღებს). ქართველი კაცის ქორწილი ქვევრის პირზედ არის. დედაკაცო, ხაშლამა მოართვი (გამოაქვთ ტაბაკით ცხელი ხორცი და პურები) მიირთვით თქვენი ჭირიმეთ! ვაიჰ, სილარიბეს რა ვუთხრა! ბიჭებო, ეს ღმერთმა აღდეგრძელოს ის კაცი, რომელსაც გლეხი კაცი ებრალება (სვამს), ეჰ, ჩემო კარაპეტ, შენ უნდა გვერდში მედგე ბარვისა და წვენის დროს, რომ მაშინ ეგრე იაფად აღარ აფასებდე. მაგრამ ეხლა რა გითხრა? შენა გგონია, რაკი ქვევრში ჰხედამ, ესე უზრუნველად ჩავიდა შიგ! ჰე, ოფლით არის ჩვენი ღვინის ვაზის ძირები მორწყული. (ყველანი სვამენ).

ღვინ. ამ. ესეც ოც-და-ათია!.. ოც-და ათი... ესეც საპალნე! საპალნეა, საპალნე... ესეც აგაშენოს... ასწით ძაბრს, გავათავე, მეტი აღარ ამოვა.

გლეხ. კაცო, რას შვრები? ამაშენოს-კი არა! რომელი საჩუქრები მოიტანა აქა, რომ მეტი დაუსხა. არა, პირობა გქონდათ ერთი თავი შაქარი უნდა მოგეტანათ და სად არის?

სირაჯ. რა გაჯავრებს, კაცო? ჩამოდი ქალაქში და შაქარი რას მიქვიან, დოშებსაც გამოგატან.

გლეხი. თუ გამომატან, სხვა არის, მაგრამ ვაჰ თუ შარშანდელივით მომატყუო? მე შენი დევნის თავი არა მაქვს.

სირაჯი. კაცო, შარშან შენი ბრალი იყო, რატომ არ წამოიღე, ეხლაც, მე და ჩემმა ღმერთმა, არ მეგონა, თუ ვიყიდდი აქ ღვინოებს, თორემ მოგიტანდი.

გლეხ. რო წამომეღო, რაში მინდოდა აყროლებული დოშები? (ბიჭები ამ დროს რუმბს ურემზედ უდგმენ დიდი კიჟინით, მერე ღვინის სმას შეუდგებიან).

ერთი გლეხ. კაცო, გაიგეთ, მარტიროზას რა უქნია? თურმე სულ ძალ-და-ძალ შაუგროვებია გოგირდის ნისიის ღვინოები, ოც-და-ათი ბოჭკა გაუვსია, აგერ არ ჩაატარეს ფურგუნები!

სირაჯ. (თავისთვის) აი რაზბონიკ მარტიროზ, რა დოვლათი ჩაიგდო ხელში? ერთი თუ მეც არ გავიჩინე ნათლი-მამები, არ იქნება. (გლეხებს) ეგ, ჩემო ძმაო, ძალიან პოდლეცი კაცია, მაგას კაცი ვერ ენდობა, მაგრამ რა გამოვიდა, ათასი მოიგოს, მაინც ვალებშია ამომხვრჩალი. ჩემსავით ნაღდი ხომ არა აქვს, ბანკიდგან იღებს ხოლმე ვალებს. თქვენი ვიყო, მაგას აქ არ გავატარებ, ნახეთ რა გიყოთ? მერმის მე მოვიტან გოგირდს. განა ეგრე უსვინიდისოთ მოვიქცევი? მაგან ნახევარი სიმინდის ფქვილი შამოგაპარათ, მაშ! ეხლა-კი წავიდეთ, ისიდორე!

გლეხ. ფულს არ მაძლევ, კაცო? რო მიხვალ, სად მიხვალ? ხომ არ გინდა შარშანდელივით მაწვალო და

---

*) იხ. „ივერია“, № 231

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბია, მაგრამ ხანგრძლივის წვიმების გამო წელს სიმინდის მოსავალი ნაკლები იყო. ოდესის (იზაბელას) ღვინო წინა წლებში ბლომად მოგვდიოდა, მაგრამ წელს იმანაც გვიღალატა.

⁂ ავშანდის ქუჩაზე მცხოვრებმა მიხეილ ნაცვლიშვილმა 17 წლისამ, მოიწადინა ღუმელის გახურება. გააღო ღუმელის კარი შუშის შესაწყობად, მაგრამ ამ დროს პატარა ყუთი დაინახა, რომელშიაც რაღაც გილზები აღმოჩნდა. ნაცვლიშვილმა ერთი გილზა აიღო და დანით ხსნა დაიწყო, რომ გაეგო შიგ რა იყო. ამ დროს გილზი აფეთქდა და ორი თითი მოაგლიჯა. დაშავებული რკინის გზის საავადმყოფოში გაგზავნეს. ნაცვლიშვილები ამ სადგომში ერთის თვის წინად გადავიდნენ. წინად იქ სხვა სცხოვრობდა და არავინ იცის, ეს გილზები ვინ შეაწყო ღუმელში.

⁂ გორის მაზრის სოფ. ბრიტაულის მცხოვრებმა ტემრიკ სლონაშვილმა ჩხუბის დროს ცულით მძიმედ დასჭრა იმავე სოფლის მცხოვრებელი შავლეხაშვილი.

⁂ სიღნაღის მაზრის სოფ. ზემო-მაჩხაანის მცხოვრებლს ლევან ბეჟანაშვილს და მარნაანის მცხოვრებლს ვანო შაშიაშვილს, შირაქში მიმავალთ, ჩხუბი მოუვიდათ, რომლის დროს ხანჯლებით ერთმანეთი მძიმედ დასჭრეს.

◆

კავკასიის მთავარ მართებლის გენერალ-ადიუტანტის თავ. გ. ს გოლიცინის და მისის მეუღლის კნ. მარიამ თეოდორეს ასულის მოგზაურობა კახეთში.

24 ოქტომბერს თელავში ყველამ იცოდა, რომ კახეთში მობრძანდებოდა მისი ბრწყინვალება კავკასიის მთავარ-მართებელი გენერალ-ადიუტანტი თავ. გ. ს. გოლიცინი მეუღლითურთ. მაზრის უფროსი ბ-ნი ვ. ვ. განსევიჩი, მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავ. დ. გ. მაყაშვილი, მომრიგებელი შუამავალი თავ. ნ. გ. ჭავჭავაძე თავ-თავის დროს გავიდნენ თელავიდგან მთავარ-მართებლის მაზრის საზღვარზედ მისაგებებლად. თელავისა და ტფილისის მაზრების საზღვარი იმყოფება ზედ გომბორის მთის წვერზედ. ზედ იმ ქედზედ არის მიჯნა ამართული, რომლითაც წყალი იყოფა. ამ ქედზედ უამინდობის დროს ისეთი საშინელი ქარი იცის სხვა დროს და ზამთარში ქარ-ბუქი, მაგრამ 24-ს მშვენიერი დარი იყო, თბილი შემოდგომის დღე იდგა, მშვიდობიანი, წყნარი, მთები შემოდგომის მწვანით იყო შემოსილი, საიდგანაც ერთ მხარეს გარეთ კახეთს გადაეშალა თვისი თვალ-უწვდენელი მინდვრები, ხოლო მეორე მხარეს შიგნით კახეთი ამოჰფარებოდა კავკასიონის მთაგრეხილს. ყოველივე ეს მშვენიერს სურათს წარმოუდგენდა გომბორის ქედზედ მდგომარეს. აი ამ ქედზედ დაუხვდნენ მის ბრწყინვალებას კავკასიის მთავარ-მართებელს მაზრის უფროსი, თავად-აზნაურობის წინამძღოლი, მომრიგებელ-შუამავალი, დისტანციის უფროსი თავ. ლევანიძე და სხვანი.

აქედგან ექვს ვერსზედ საფოსტო სადგურია „თეთრწყლებად“ წოდებული. ამ სადგურზედ დაისვენა მთავარ-მართებელმა მეუღლითურთ. აქ მათს ბრწყინვალებას მიართვეს ჩაი, ყავა და საუზმე. თქმა არ უნდა, რომ ყოველივე ეს ამ ადგილას დიდად სასიამოვნო იქმნებოდა, ვიდრე სხვა ადგილას. თეთრწყლებიდგან მეთერთმეტე ვერსზედ შუამთის მონასტერია, სადაც მიბრძანდნენ მათი ბრწყინვალებანი სალოცავად. აქ მიეგება მათ ადგილობრივი კრებული. აქაც ჩაი იყო მომზადებული და ხილი. დაიარეს მონასტრის ბაღი და დიდხანს დაჰყვეს სამღვდელ-მთავრო შენობის აივანზედ, საიდგანაც მშვენიერის სურათით აცნობებს კახეთი მაყურებელს თავისს სიკეკლუცეს. აქედგან ნასიამოვნებნი გაემგზავრნენ მათნი ბრწყინვალებანი თელავისაკენ.

შუამთის მონასტრიდგან შვიდ ვერსზედ მდებარეობს ქ. თელავი, რომლის შესავალშიაც მთავარ-მართებლის და მისი მეუღლის მისაგებებლად შეკრებილიყო მოქალაქობა, ამქრები თავ-თავისი ბაირაღებით, ქალაქის მამასახლისი ბ-ნი თათუზოვი ხმოსანთა კრებულით, ადგილობრივი ფოსტა-ტელეგრაფის სადგურის უფროსი ბ-ნი პეტრე პავლეს ძე ხუნდაძე, ჯარის უფროსი პოლკოვნიკი ბ-ნი შატილოვი, წ. ნინოს დედათა სასწავლებლის გამგეობის თავმჯდომარე ქ-ნი სოფიო სტანისლავის ასული განსევიჩისა და გამგეობის წევრი ქ-ნი ბარბარე ალექსანდრეს ასული ვიტოვიჩისა. ქ. თელავის მამასახლისი ეგებებოდა პურ-მარილითა მთავარ-მართებელს და ქ-ნი ს. ს. განსევიჩისა ეგებებოდა თაიგულით კნ. მარიამ თეოდორეს ასულს გოლიცინისას. საღამოს ხუთს საათზედ მობრძანდნენ მათი ბრწყინვალებანი. ჩამოვიდნენ ეტლიდგან: მთავართ-მართებელმა მარცხნივ მდგომარე ამქრობას მისცა სალამი, მერე მარჯვნივ გადაბრძანდა და ქალაქის მამასახლისისაგან მიიღო პურ-მარილი და თან უბძანა: „რაკი ღვინო ბევრი მოვიდა კახეთში, რა თქმა უნდა, ხალხიც მხიარულად იქმნება, ლხინი ბევრი გექმნებათ და ზურნასაც უკრავთო“ ამავე დროს კნ. მარიამ თეოდორეს ასულმა სიამოვნებით მიიღო ქ-ნ განსევიჩისაგან თაიგული და ქ-ნნი განსევიჩისა და ვიტოვიჩისა წარუდგინა თვისს მეუღლეს, რომელმაც ხელის ჩამორთმევის შემდეგ ორივენი მოიკითხა. შემდეგ მთავარ-მართებელმა აუარა მოქალაქეთა და ამქართა, ყველას მიესალმა, ქართულად გამარჯობას ეუბნებოდა და სალამის პასუხად ქართულადვე „მადლობელი ვარ“-ს. ყველანი: დიდი და პატარა სიამოვნებით ეგებებოდნენ. მისი ბრწყინვალება გავიდა ბოლომდის, სადაც რამდენიმე ქართულად თავ-დახურული ქალი იდგა, აქ ქალებს მისცა სალამი ქართულად და ჰკითხა: „თქვენ რუსული არ იცითო?“ ამ ხანში ეტლებს ცხენები დაუცვალეს, დაბრუნდა ეტლისაკენ, რომელშიაც უკვე კნეინა ჩაბრძანებულიყო, ქ-ნს განსევიჩისას უთხრა, რომ ხვალ სასწავლებელში ვიქმნებით და იქავე მივიღებ საპატიო დარაჯსაო, იგივე გაუმეორა მაზრის უფროსს და პოლკოვნიკს, თანაც დასძინა: „წინანდლიდგან ხვალ პირველის ნახევარზედ გამოვალთ და აქ როდის ვიქმნებით, თქვენ გამოიანგარიშეთო“. ჩაბრძანდა ეტლში. გაიარეს თელავზედ და წაბრძანდნენ ს. წინანდალს. ხვალ აღმოსავლეთის მხრიდგან მობრძანდებიან თელავს.

ნადიკვრელი

◆

წერილი ზესტაფონიდგან.

რძალ-დედამთილის იგავი.—დიდებული მიწოლ-მიწოლია და მისი მათაყვანებელნი.—ახალი ეკონომისტები.—„ხალხს ნუ მოიმდურებო!..“, „ამან ეს სთქვა!..“

უთუოდ გაგიგონია, ჩემო მკითხველო, ამბავი იმ ავ-გია დედამთილისა, რომელიც თავისს რძალს დაინახავდა თუ არა დამჯდარს, კუტს ეძახოდა, ამდგარს-კი—მაწანწალას. ზესტაფონში რომ იყო, უთუოდ გაიხსენებდი. აქ ერთის მაგიერ ასს დედამთილს ჰნახავ. ვითომ ოჯახსაც ჰპატრონობენ, უვლიან, საქმიანობენ, მაგრამ თუ რამ ისეთი წამოგცდა, რაც სქელს ტანს ტკიცი-ტკიცს აადენს, რაც იმათ არ იამებათ, მაშინ... „ხაბარდა!“ დიაღ, მერჩია ჩემს სეფის პირზედ დარჩენა და იქაურობის მეთვალყურეობა, მაგრამ... „რა ვუთხრა ბედსა მუხთალსა!...“ მაინც ნუ დავაგდებთ ძველს გზას და ვთქვათ, რაც საჭიროა...

ამ რამდენისამე დღის წინად ზესტაფონი მართლა რომ არა ჩვეულებრივს სანახაობას წარმოადგენდა. ხალხი ჰღელავდა, დრტვინავდა, საომრად ემზადებოდა, თან თითოეული თითო კალათს უცენზურო სიტყვებს ამზადებდა, რომ მოპირდაპირისთვის სწრაფად დაეხალებინა თავში. ეს ბატონი „ინტელიგენტებიც“-კი ამზადებდნენ, მაგრამ თითო კალათს-კი არა, ორ-ორს. რა მოხდა, რა იყო? რამ დაუფრთხო ჩვეულებრივი ძილი დიდსა და პატარას, ჭკუა მთელსა და ჭკუა მტკივანს? ეს ძალი გახლდათ დიდებული მიწოლ-მოწოლია ბაზრის შესახებ! წინადაც მოგახსენეთ, რომ ის ახალ-გამოჩეკილმა ზედა-უბანმა და მისმა „ნაფიც—ვექილებმა“ გამოაცხვეს, საბოლოოდ იმდენი მოახერხეს, რომ ორივე მხარე მცირე წლოვანად გამოაცხადეს და საქმე „ოპეკუნებს“ ჩააბარეს. განკითხვის დღეს ძმა ძმას მიესია, შვილი—მამას და აირია მონასტერი, „ჩემი დუქანი აქ არის, ბაზარიც აქ უნდა იყოსო“. ოოოი! ეს ფული დიდი რამ ბატონი არის! ის არც ნათესაობას ეძებს, არც სხვის ტყავს ჰკითხულობს, იმან კარგად იცის „მე ვარ და ჩემი ნაბადის“ ამბავი.

თუმცა ეს ასეა, მაგრამ „მიწოლ-მოწოლიას“ მათაყვანებელნიც ჰყავს. ესენი ახალის ჯურის ეკონომისტები გახლავან: მტკიცედ იცავენ ზემოხსენებულს მედუქნურს აზრს და არხეინად შემოგძახიან: რა დარდი გვაქვს, ის ვიღაც გამყიდველები არიან, ჩვენ ვყიდულობთ, სოფელმა მოიტანოს, ჩვენ მოგვყიდოს იაფად, ჩვენგან იყიდოს ძვირად და ჩვენის ბაზრის ადგილმდგომარეობა მოაგებინებს თუ წააგებინებს, ეს ჩვენი საქმე არ არისო. თუ ასე არ არის, რა ამბავია ამდენი პაპან-წყვეტა? სხვა რომ არა გახდა-რა, საქონლისა და ურემ-ცხენს დასაყენებლად მდინარის რიყეს მიუთითეს, იმ რიყეს, რომელიც ყოველ წამოწვიმებაზედ მდინარის ძირად იქცევა. აბა მიბრძანეთ, რა საბაზროა ის ალაგი, სადაც ყოველ წამს უნდა ელოდე, რომ ორთქლმავალი წამოგისწრებს და გაგსრესს! თუ ამის აცდენა გინდა, უნდა გაჩერდე ბაზარს გარედ და უცადო, როდის დაიცლება გზა. კარგი სანახავი იქნება, როცა ოფლში გაწურული დატვირთული სოფლელი ხუთს—ათს წამს გაჩერდება აქ ტვირთით ზურგზედ! ამისთანა საქმისთვის ზესტაფონი მზადაა თავი გამოიდოს, ძმა-ძმას შეატაკოს, იმ ბრჭყვიალა ლითონით ,,ჯოჯოხეთიც გაანათოს“, ოღონდ სხვას-კი ნუ ეტყვი. რად უნდა გაჩაღებული წიგნთ-საცავი, თეატრი, კარგი სასწავლებელი, როცა კარგად ხედავს, რომ ამ მხრით ის ძალიან ჩამორჩენილია უკან. ,,ნურაფერს იტყვი, ხალხს ნუ მოიმდურებ, შენ წერით ვერაფერს გახდები, შენზედ-კი გულს აიცრუებენ, ახლაც ვინ იცის რაებს ამბობენო“, მითხრა ერთმა ზედა-უბნელმა გულ-მტკივნეულებით. ჰეი, ჰეი, რომ ,,ამბობენ‘‘, მაგრამ რა უყოთ!

„ამან ეს სთქვა, იმან ის სთქვა,
ეს ეს არი! ის ის არი.
სამაგიეროდ:
ამას ეს ქვა! იმას ის ქვა!
ეს ისარი, ის ისარი!

მიუგებთ ჩვენ... ,,მოყვარეს პირში უძრახვენ, მტერს პირს უკანაო“, იტყვიან ჩვენში.

ვ. სეფისპირელი

◆

წვრილ-წვრილათ გამომაჭამო, არა, ძმავ, მეყო, რაც ვტყუვდებოდი. მოიტა, თორემ ამ ღვინოს ქვევრშივე დავაბრუნებ!

სირაჯი. ჰო, კაცო! მახრჩობელა ხომ არა ხარ, არ მენდობი? ჩავიდეთ დუქანში და იქ მოგცემ.

გლეხი. ვერა, ძმავ!

სირაჯი. კარგი მოგცემ, რაღა გერგება? თუმანი ხომ მაშინ მოგეცი, ესეც ოთხი თუმანი, დანარჩენს ქალაქში მოგცემ.

გლეხი. მე ქალაქ მალაქები არ ვიცი, თუ მაძლევ სრულად მომეცი, თუ არა და სულ არ მინდა, ჩემ ღვინოს მე მოუვლი.

სირაჯი. აჰა კარგი (აძლევს). რა ბაიყუში რამა ყოფილხარ! აღარ გინდა ქალაქში გამარჯობა გითხრა? (მიდის).

გლეხი. როცა სარგებლობას ნახამ-გამარჯობას კი არა, ჩოქზედაც და, მიდგები!

V

(სცენა წარმოადგენს დუქანს, რომლის დერეფანშიაც ხალხია შეყრილი და ლაყბობენ)

ერთ. გლ. ბიჭებო, ნახეთ? რამოდენა ღვინოები წაიღო მარტიროზამ გოგირდის ნისიებისა. ეჰ, რა არის ცოდნა და, მე რო მცოდნოდა გზა, სადაც უნდა მეყიდნა, ხომ ეგრე ძვირათ აღარ დამიჯდებოდა, ჩვენებიანთ მიხას ეყიდნა და თქო, რომ ფუთი სულ ორი მანეთი ღირსო. ეს რა, წინალამ ღმერთი გამიწყრა და უფრო მეტში არ შავტოპე, შარშან ჩვენმა დიაკვანმა რო უწამლა ვენახს გოგირდით, ხომ ნახეთ როგორ არგო? იმ ერთი ბეწვა ვენახს მთელი ერთი საპალნე ღვინო გამოვიდა. მერე ერთმა მითხრა, იმას კი არ ვიტყვი, ვინც იყო, მე ვიცი ეგეთი წამლობაო და თუ გინდა შენ ვენახს უწამლებო, თუ შემოსავლის ნახევარს მომცემო. კიდე კარგი არ დავყაბულდი, თორემ შენი მტერი, რომ ჩავჯდებოდი. წლეულ სამი საპალნე ღვინო მომივიდა და იმის ნახევარი რომ იმისთვის მიმეცა, ათ თუმნამდის დამიჯდებოდა, აბა სეირი მაშინ იქნებოდა აი! რა არის უსწავლელობა-და!

მოხ. გლ. შენ, შვილოსან, ქართულ ანდაზასავით მოგდის, რომ იტყვიან: ურემი რო გადაბრუნდებაო, გზა მაშინ გამოჩნდებაო, ეხლა რაღა ეშველება, რაც იყო იყო, შემდეგში გავფრთხილდეთ, რო ჩვენი თავი მახეში არ გავაბათ. მე ტყუილათ კი არა ვთქვი იმ დღეს, საკეთილოთ არ მოდის-მეთქი. მაგრამ რა, განა მარტო მაგაში ვტყუვდებით? მთელი ჩვენი ღვინის ვაჭრობა შეცდომაა, ძალიან ბევრი გვაქ ცუდი ჩვეულება, რომელიც ვერ მოგვიშორებია თავიდგან. ვინ დააწესა, ეგ კი აღარ ვიცით, ჩვენ ჩვენი გვგონია: ეს ჭაშნიკიო, ეს აგაშენოსო და ვინ იცის კიდევ რამდვენი გადააქ ჩვენ ჩაფიანს და მეტადრე ნახევარ ჩაფიანს. მარტო ჩვენა ვართ დაღუპულები, თორემ თურმე სხვაგან ესე როდი ყოფილა, აი ჩვენი ნემენცები, გაურიგდებიან კაცო, ვედრობლივ და ისე აუწყავენ, რომ კაპლს მეტს არ გადააყოლებენ.

გლეხი. კარგია რომ ეგ საწყაო არა გვქონდეს, მაგრამ რა ვქნათ! მამა-პაპური ჩვეულებაა და როგორ მოვსპოთ?

ზოგი. მოვსპოთ, რატო ვერ მოვსპოფთ?

მოხ. გლეხი. რა უნდა მოსპო, ჩემო ძმაო, ეგ ეხლა იძახით, თორემ როცა სირაჯი წითლიანებს დაგანახვებთ, მაშინ სუყველაფერი გავიწყდებათ სიხარბისაგან და სირაჯი რასაც უნდა, იმის გიშვრებათ. მოთავე-კი არავინა გვყავს, რომ დაგვარიგოს ამ საქმეში, ჩვენ-კი ჩვენათ ვერას გამხდარვართ. ყველა თავის მუცლის ჩასტირის და სხვა ფეხებზედ ჰკიდია. ჩვენ ჩვენ სოფელ გარეთ არ გავსულვართ, გვგონია ყველგან ასეა და რასაც სირაჯები გვეუბნებიან, გვჯერა და იმისთვის გაჩუმებულები ვართ.

ერთ. გლ. ახ, ნეტა არ იქნება ერთი ალალ-მართალი ვაჭრობა დააწესონ, რომ ვიცოდეთ რო არ გვატყუებენ, თორე ღმერთი გვაძლევს და ჩვენ-კი ჩვენი უსწავლელობით ხელიდგან ვუშვებთ.

მოხ. გლ. მე-კი ველარ მოვესწრობი მაგას და იქნება ჩემი შვილები-კი მოესწრენ. ჩვენი მოზარდი ნასწავლები კარგ იმედებს იძლევიან. იმ დღეს ისეთი კარგი ქაღალდი წაიკითხეს, რომ მართლა მოსაწონი!

ერთ. გლეხ. ისა, რომ შარშან „თრიალეთში“ ითამაშეს, არსენამ რო ფულები წაართო სირაჯს! აი ერთი სად არის ის დალოცვილიშვილი, რომ მარტიროზას არ შაჰხვდება!

გზირ. პრიჭტავს ზეკუცია გამოუგზავნია ჩასაყენებლად და მამასახლისი გიბარებთ!

მოხ. გლეხ. ვაიჰ, სირცხვილო, იმთვენი თავი აღარა გვაქვს, რომ ხემწიფეს ვემსახუროთ! რა ვქნათ? ნეტავი იცოდეს მაინც ნაჩალიკმა, როგორა გვწუწნიან ჩვენი სირაჯები. ეხ, ღმერთო, დაილოცა შენი სამართალი, რატო მაგათთანა მრუდე ხალხს არ უჩვენებ შენ ძალას.

გლეხები. წავიდეთ, წავიდეთ! რაც არა გვაქ, რა მივცეთ? ამაზედ მეტი ცეცხლი? (მიდიან ყაყანით).

XX

◆

ბიბლიოთეკა

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

სოფ. კარდენახი, (სიღნაღის მაზრა). ამ სოფელს თავისის სიმშვენიერითა და ვენახების სივრცე-დამუშავებით ერთი უპირველესი ადგილი უჭირავს მთელს კახეთში. კარდენახი მაღლობზეა გაშენებული, ამიტომ გადაჰყურებს ალაზნის ველს. ამ სოფელში 2,000 დღიურამდე ვენახი ითვლება. აქაური ღვინო სახელ განთქმულია ყველგან, სადაც-კი კახურის ღვინის გემო იციან. არა გვგონია, როგორც აქ, ისე სხვა სოფელში იყოს ვაზის სენის წინააღმდეგ წამლობა გავრცელებული. კახეთის სხვა სოფლებში ვენახების $1/3$—$2/3$ ნაწამლი, კარდენახში კი 2,000 დღიურ ვენახებიდგან მხოლოდ 4 დღის დარჩა უწამლი. სასიამოვნო და საყურადღებო ის არის, რომ რამდენიმე მემამულემ 3—4-ჯერ უწამლა ვენახს, რამაც ძლიერ არგო და მოსავალი ერთი სამად გააუხვა. მართლაც, ასეთს მოსავალს დიდი ხანია არ შესწრებიან აქ. ღვინის მოსათავსებელი ჭურჭელი ვეღარ იშოვნეს. ორ თუმნიან ქვევრში ოთხ თუმანს აძლევდნენ, მაგრამ ისიც რომ ვეღარ იშოვნეს, სხვა სოფლებში გაზიდეს ღვინო შესანახად. ამ სოფლის ვენახებს ყოველ წლობით სწირდება 12—15 ათას მანეთის შაბიამანი და გოგირდი.

შარშან, 1897 წ., გაზაფხულზედ კარდენახლებმა ერთს ტფილისელ ებრაელს 10 ათასი მანეთის შაბიამანი და გოგირდი სთხოვეს ნისიათ. ებრაელი დიდის სიამოვნებით დასთანხმდა, მხოლოდ სოფელს განაჩენი მოსთხოვა და ფულის მიცემის ვადად წლევანდელი 1898 წლის მარტის უკანასკნელი რიცხვები დანიშნა. ფულის სარგებლად 600 მანეთი მოითხოვა. ხალხი ასეთს პირობაზედ დასთანხმდა და ფულების შემკრებლად აირჩია ორი კაცი. ფულების შემნახველად და ანგარიშების გამასწორებლად ერთი თავადიშვილი. ფულების აკრებას შარშანდელ ნოემბრიდგან შეუდგნენ და დანიშნულ ვადამდე უკლებლად მოაგროვეს. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ფულს დანიშნულებამდე ჯერაც არ მიუღწევია. ხალხმა ფულის გაფლანგვის ამბავი გაიგო და მთელის ერთის თვის განმავლობაში ყოველ კვირა-უქმე დღეს იკრიბებოდა სასოფლო სამმართველოსთან და ერთი ლაპარაკი ჰქონდა. ბოლოს თავიანთ ამორჩეულ სამს კაცს მოსთხოვა ხალხმა, რომ ან ფულით და ან ხელ წერილით ებრაელი დააკმაყოფილეთო. მაგრამ ფული იმათ ვერ გაიღეს და იმათის ხელწერილს ებრაელი არ ენდო. ამ უკანასკნელმა კიდევ ერთის თვის ვადა მისცა სოფლელებს, რის შემდეგაც ფული უთუოდ უნდა ჩააბარონ პატრონს. სოფელმა საჩივარი შეიტანა ამორჩეულს კაცებზედ. ამბობენ, რომ 7,000 მან. ფულის შემნახველს აქვს გაფლანგული, ხოლო დანაშთენი 3,600 მან. ორს ფულის მომკრებს გლეჯს!

სოლომონ იოსავა

◆◆

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

შემდეგი წერილია დაბეჭდილი გაზ. „Новости“-ში კავკასიაში ერობის შემოღების შესახებ:

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ის უცნაური მდგომარეობა, რომელშიაც ჩავარდა აქ კავკასიაში საერობო დაწესებულებათა შემოღების საქმე. ეს საგანი რამდენჯერმე აღძრა ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობამ, მას თანაუგრძნო ქუთაისის თავად-აზნაურობამაც, კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამაც, ჟურნალ-გაზეთობამაც, მაგრამ მაინც-კი განხორციელება არ ეღირსა. ამ წლის დამდეგს ეს საგანი განხილულ იქმნა თავად-აზნაურობის სამაზრო კრებათა მიერ და თითქმის ყველგან ერთ-ხმად თანაგრძნობა გამოუცხადეს პროექტს, გუბერნიის თავად-აზნაურობის მინდობილებით შედგენილს. ამ პროექტით საზოგადო დებულება საერობო დაწესებულებათა შესახები თითქმის ყოვლად უცვლელად უნდა იყოს კავკასიაში შემოღებული.

ყოველ ამის მიუხედავად, აგრეთვე იმის მიუხედავად, რომ საგანი ასე ხანგრძლივ და ყოველ მხრივ იქმნა განხილული, იგი აქამდე არ არის წარდგენილი გუბერნიის თავად-აზნაურობის კრებისა და კავკასიის უმაღლესის მთავრობის წინაშე მათდა მოსაწონებლად.

რამდენადაც თანაუგრძნობს საზოგადოება კავკასიაში ერობის თვით-მმართველობის შემოღების საქმეს, მტკიცდება იმ გარდაწყვეტილებითაც, რაც დაადგინა ტფილისში ბაღის მცენარეულობათა მოყვანის ხელის მცოდნე მოღვაწეთა კრებულმა. ამ კრების პირველმა განყოფილებამ გარდასწყვიტა შეიმუშაოს პროექტი, რომ რაც შეიძლება ჩქარა იყოს შემოღებული საერობო დაწესებულებანი და ამ აზრს მხურვალედ მიემხრო მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა წარმომადგენელი ბ-ნი ტარხოვიც, რომელიც კრებას დაესწრო.

ამასობაში ჩვენს ახლო მყოფმა სტავროპოლის გუბერნიამ, რომელმაც ეს საგანი ჩვენზედ გვიან აღძრა, უკვე კეთილად დაამთავრა ეს საქმე და ეხლა საგანს სტავროპოლში ერობის შემოღებისას, ჰსინჯავს შინაგან საქმეთა სამინისტრო, ხოლო ამ ზამთარს, ალბად, სახელმწიფო საბჭოს ექმნება კიდეც წარდგენილი.

ნუ თუ დრო არ არის გამოიღვიძონ ტფილისელებმაც და მხნედ შეუდგნენ საზოგადო სურვილის განხორციელებას—დაიარსონ საერობო თვით-მმართველობა, ურომლისოდაც ჩვენი სოფლები იმავე უმწეო მდგომარეობაში არიან, როგორშიაც იყვნენ წარსულს საუკუნეში—უსასწავლებლოდ, უგზებოდ, უმკურნალებოდ. ყველა ეს ხომ თავისდა-თავად მღაღადებელი საჭიროებაა, რომელთა დაკმაყოფილების გადადებაც ყოვლად შეუძლებლად უნდა იყოს მიჩნეული.

◆◆

რუსეთი

—

სატახტო ქალაქის გაზეთების სიტყვით საერო განათლების სამინისტროში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ ციმბირში უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი იქმნას დაარსებული. ამ საგნის განხილვას სამინისტრო ახლო მომავალში შეუდგება.

— მკითხველებს ეხსომებათ უთუოდ, რომ ამას წინად მოსკოვში ერთის ადგილიდგან მეორეზედ ორ სართულიანი სახლი გადაიტანეს. ეხლა მოსკოვში, გაზეთების სიტყვით, არსდება ახალი საზოგადოება, რომელსაც აზრად სახლების გადატანა ექმნება.

—გაზ. „Свѣтъ“-ი იუწყება, რომ მთავრობას აზრადა აქვს 1899 წელს ხელ-ახლა დააფასოს ნავთის ყველა ქარხნები და სადგურები ბათუმსა და ბაქოში.

— ხშირად მოხდება ხოლმე, რომ მღვდლები აარსებენ სკოლებს, მაგრამ წინდაწინვე ისეთ წყაროს არ აღმოუჩენენ, საიდგანაც გასტუმრებულ უნდა იქმნას სკოლის სადგომის ქირა და გათბობა-განათების ხარჯი. ეხლა, გაზეთების სიტყვით, საეპარქიო საბჭოებმა მიწერილობა მიიღეს, რომლის ძალითაც მღვდლებს ეკრძალებათ სკოლების დაარსება, თუ წინდაწინვე სადგომისა და გათბობა-განათების ხარჯის გასასტუმრებელ წყაროს არ აღმოუჩენენ.

— 23 ოქტომბერს პეტერბურგმა გააცილა ამას წინად გარდაცვალებულის პოეტის ი. პ. პოლონსკის გვამი. განსვენებულის სადგომი დილითვე ხალხით აივსო. განსაკუთრებით ბევრი იყო სტუდენტობა, მათვე წაიღეს კუბო სადგომიდგან ფერისცვალების ეკკლესიაში. გამოსვენებას დაესწრნენ აგრეთვე წარმომადგენელნი და დეპუტაციები სხვა-და-სხვა სასწავლებლებისა, სამეცნიერო, სალიტერატურო საზოგადოებათა, მწერალნი და ჟურნალ-გაზეთების თანამშრომელნი. განსვენებულის კუბოს მრავალი გვირგვინი ამშვენებდა. ტაძრიდგან პოეტის გვამი რკინის გზის სადგურზედ გაასვენეს, საიდგანაც მატარებლით პოეტის სამშობლო ქალაქ რიაზანში წაიღეს დასასაფლავებლად. გვამი რიაზანში 24 ოქტომბერს მიასვენეს. სადგურზედ მიეგებნენ: ადგილობრივი მთავარ-ეპისკოპოსი, სამხედრო და სამოქალაქო მოხელენი, წარმომადგენელნი ქალაქისა, ერობისა, სასწავლებლებისა, მასწავლებელნი და მოსწავლენი.

◆◆

უცხოეთი

—

კრიტი. საბერძნეთის მეფეს უკვე განუცხადებია თანხმობა, ბატონიშვილმა გიორგიმ კრიტის გენერალ-გუბერნატორობა იკისროს. ოსმალეთის ხონთქარი თუ წინააღმდეგი არ იქმნება იმის გენერალ გუბერნატორობისა, იმ შემთხვევაში ბატონიშვილი კონსტანტინეპოლში წავა და ხონთქრიდგან ფირმანს მიიღებს. თუ მაინცა და მაინც ხონთქარმა ამის წინააღმდეგობა განაცხადა, ბატონიშვილი გიორგი პირდაპირ კრიტში წავა, სადაც დიდ სახელმწიფოთა ადმირალები მიეგებებიან და ოფიციალურად გამოაცხადებენ კუნძულის გენერალ-გუბერნატორად.

—

ბოლგარია. ამ დღეებში ბოლგარიის პარლამენტი იქმნა მოწვეული. კრებას მთავარი ფერდინანდი დაესწრო და სუფე-სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიაც, სხვათა შორის, განაცხადა, რომ ბოლგარია და სერბია დაუმეგობრდნენ ერთმანეთსაო. ამნაირად ოფიციალურად გამართლდა ის ხმები, რომ ეს ორი სახელმწიფო ერთმანეთს უახლოვდებაო. სუფე სიტყვაში ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი სერბიის შესახებ. აქედგან ის დასკვნა გამოჰყავთ, რომ სერბია და ბოლგარია ერთმანეთის მოსისხლე მტრები თუ არ არიან, არავითარი მეგობრული განწყობილება მაინც არა არსებობს იმათ შორისო.

— ამას წინად რუსეთიდგან ბოლგარიაში დაბრუნების ნება მისცეს პოლკოვნიკს დიმიტრიევს, რომელიც სამშობლოდგან განდევნილი იყო ბოლგარიის მაშინდელ მთავრობის მიერ. დიმიტრიევი ეხლა ისევ მიუღიათ სამსახურში და რუშჩუკის ჯარის შტაბის უფროსად დაუნიშნავთ. ოპოზიციის გაზეთი „სვობოდა“ წინააღმდეგია დიმიტრიევის სამსახურში მიღებისა და დიდს საყვედურს აცხადებს—მთავრობას ეს საქმე არ უნდა ჩაედინაო,. მთავარი ფერდინანდი შემდეგ ბევრს ინანებსო, ამბობს გაზეთი, მაგრამ გვიან-ღა იქმნებაო.

—

ინგლისი. ლორდს სალისბერის ბოლო ხანს ლაპარაკი ჰქონია საფრანგეთის ელჩ დე-კურსელთან და ნათლად გამოუთქვამს ის აზრი, რომ საფრანგეთმა უთუოდ უნდა დასცალოს ფაშოდაო. საფრანგეთის მთავრობა თუ ასე არ მოიქცევა, ამ საგნის სხვაფრივ გარდაწყვეტის შესახებ ლაპარაკი მეტი იქმნებაო. სალისბერის უთქვამს, სხვათა შორის, რომ ინგლისის საზოგადოების აზრი და სურვილი ისეთს ძალას წარმოადგენს, რომელსაც არ შეიძლება, ანგარიში არ გაუწიოს კაცმაო. ამ ლაპარაკიდგან საფრანგეთის ელჩს ის დასკვნა გამოუტანია, რომ სალისბერი საზოგადოების ზეგავლენის ქვეშ ჩავარდნილა და ფაშოდას შესახებ შესამჩნევად შეუცვლია თავისი აზრიო.

როგორც უკვე გვქონდა მოხსენებული, ინგლისმა თავისი ფლოტიც და ხმელეთის ჯარიც საომრად დააყენა ფეხზედ. ერთის გაზეთის სიტყვით, ლორდს სალისბერის აზრად აქვს—ეხლავე გარდასწყვიტოს მარტო ფაშოდის საქმე-კი არა, არამედ მთელის ეგვიპტისა. მაგრამ რადგან სალისბერიმ კარგად იცის, რომ მას წინადადებას ეგვიპტის შესახებ უთუოდ წინააღუდგებიან საფრანგეთი და რუსეთი (შეიძლება გერმანიაც), არ უნდა ამ საქმეს მოუმზადებელი შეხვდეს ინგლისიო.

— რაკი ხმა გავრცელდა, ამერიკას აზრად აქვს ფილიპის კუნძულები თითონვე სამუდამოდ დაინარჩუნოსო, ინგლისსაც მადა გაეხსნა უპატრონო საქონლის დაპატრონებისა. ინგლისში ამტკიცებენ, რომ ჩვენ იმდენი საქმე გვაქვს ჩინეთსა, ავსტრალიაში და კუნძულს ბორნეოზედ, რომ ჩვენთვის მიუცილებლად საჭიროა კუნძული პალოვაკი, რომელიც კარგა მოშორებით არის ფილიპის კუნძულებიდგან სამხრეთისაკენ და კუნძულ ბორნეოს ჩრდილოეთ ნაპირამდე უწევსო, ხსენებულ კუნძულის შემოერთება მით უფრო საჭიროდ მიაჩნიათ ინგლისელებს, რომ გონ-კონგიდგან ავსტრალიაში მიმავალი გემები სწორედ ამ კუნძულს ჩაუვლის, რომელზედაც, მათის სიტყვით, ავაზაკი ხალხი სცხოვრობს და დიდს დაბრკოლებას მისცემს ინგლისის ზღვაოსანთაო. ინგლისი ურჩევს შეერთებულს შტატებს, რომ პალოვაკი ჩვენ დაგვითმეთ, იმ ხალხისაგან სულ გავწმენდთ ამ კუნძულს და ამით დიდს სარგებლობას მოვუტანთ ყველა განათლებულს ერსაო. ვითომ ამერიკას რად უნდა, ეს კუნძულიო, ამბობენ ინგლისელები; ზარალის მეტს, სარგებლობას ვერასა ჰნახავს იქაო.

◆◆

დამაკვირდი

სიყვარულს თან ბევრი მწუხარება სდევს, მაგრამ შეყვარებულთათვის-კი ეს მწუხარებაც ნეტარებაა ხოლმე...

ბ. დ—შვილი

* * *

რად არის ჭირი ორკეცი?

იოანე ლიპარიტის ძე (XI ს.)

* * *

ორად განაწილებული სიხარული—ორ-კეცი სიხარულია, ხოლო ორად განაწილებული მწუხარება—ნახევარ მწუხარებაა.

რიუკკერტი

◆◆

ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ტიროლის ქალაქ ფელდკირხერში იბეჭდება ერთი ჟურნალი პელიკანი, იეზუიტის იოგონ კიუნლეს რედაქტორობით. დიდი ხანი არ არის, რაც ამ ჟურნალს თითქმის არავინ კითხულობდა, მაგრამ ეხლა-კი 90,000 ხელის მომწერი ჰყავს. მერე რა არის ამის მიზეზი? თურმე ხელის მომწერთა რიცხვი იმიტომ გამრავლებულა ესე, რომ რედაქციას პირობა შეუკრავს წმ. იოსებთან! აი რასა სწერს თვით გამომცემელი ერთს წერილში, რომელსაც შემდეგი სათაური აქვს. „ჩვენი პირობა წმ. იოსებთან:“ მრავალ წერილებიდგან, რომლებიც ჩვენს ჟურნალში იბეჭდება, ნათლადა მტკიცდება, რომ არც ერთი წმიდანი ისე სწრაფად არა ჰშველის ადამიანს ყველა გაჭირვებაში, როგორც წმ. იოსები. ჩვენმა ჟურნალმა ეს თავის თავზე გამოსცადა. ჟურნალი რომ არსდებოდა, გამომცემელმა აღთქმა დასდო, თუ „პელიკანს“ 2,000 ხელის მომწერი ეყოლება, მუქთად დავურიგებ ხალხს წიგნაკს, რომელშიაც აწერილი იქმნება წმ. იოსების ცხოვრებაო. იმავე წელიწადს 2,500 კაცმა დაიბარა ჩვენი ჟურნალი. შემდეგ წელს ვსთქვით: წმ. იოსებ, თუ 8,000 ხელის მომწერს მოგვცემ, ხალხს დავურიგებთო 100 წიგნაკს, რომლებშიაც გადიდებთ შენ. წლის გასულს 12,000 ხელის მომწერი გვყავდა. მესამე წელს იმედი გვქონდა 30,000 ხელის მომწერისა და ეს იმედი აგვისრულდა კიდეც. წელს კიდევ პირობით შევეკარით წმ. იოსებს, 50,000 ხელის მომწერი ვთხოვეთ და დავპირდით მრავალ წიგნაკების გავრცელებას ხალხში იმის სადიდებლად. და აი შედეგიც: ამ ჟამად 90,000 ხელის მომწერი გვყავსო. შემდეგ ჩამოთვლილია ამ ჟურნალის მრავალნი ღირსებანი და დასასრულ გამომცემელი და რედაქტორი ჰპირდებიან შემდეგს პრემიას ხელის მომწერლებს: „280 მღვდელმა ხელ-წერილი მოგვცეს, რომ მოვალენი ვართო 1) ყოველ დღე წირვის დროს შევედრონ უფალს ჟურნალის „პელიკანის“ ხელის მომწერნი და მათი შვილები, 2) მიაწოდონ თვისი ლოცვა-კურთხევა იმავე ხელის მომწერლებს საზოგადოდ და 3) განსაკუთრებით დაძინების დროს. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ეს ლოცვა-კურთხევა განსაკუთრებით სასარგებლო იქმნება ავადმყოფთათვის და შეეწევათ მათ მშვიდობიანად გაატარონ ღამე. ამიტომ უმორჩილესად ვთხოვთ ავადმყოფ მკითხველებს—შეგვატყობინონ—საღამოთი შველასა ჰგრძნობენ, თუ არა. დამტკიცებულია, რომ ერთის მღვდლის ლოცვა-კურთხევაც სასარგებლოა. და, რაღა თქმა უნდა, დიდად სასარგებლო უნდა იყოს ადამიანისათვის 280 მღვდლის ლოცვა-კურთხევა“. ყოველივე ეს მართლა რომ თვით იეზუიტების ჟურნალში არ იყოს დაბეჭდილი, კაცს ეგონებოდა—დაცინვა არის იეზუიტებისაო.

* * *

სასტატისტიკო ცნობებიდგანა სჩანს, რომ ჩიკაგოში ამ ჟამად 2 მილიონი მცხოვრებია. ამათში მხოლოდ 500,000 მკვიდრია, დანარჩენნი უცხო ქვეყნებიდგან არიან გადმოსახლებულნი. მათ შორის ყველაზედ ბევრი გერმანელია (491 ათასი). იმათ მოსდევენ ირლანდიელნი (298 ათასი), შვეციელნი (111 ათასი), პოლონელნი (97 ათასი), ჩეხები (89 ათასი), ნორვეგიელნი (46 ათასი), ინგლისელნი (44 ათასი), რუსები (39 ათასი) და სხვ. ყველაზედ ცოტანი არიან ესპანელნი (568) და მექსიკანელნი (152).

* * *

იურიევის მაზრის, ზაგნიცის მრევლში განზრახვა აქვთ დააარსონ კლუბი ხანში, შესულ უქმროდ დარჩენილ ქალთა. კლუბში მიიღებენ მხოლოდ იმ ქალს, რომელიც 27 წლისა შესრულდა და ჯერ ვერ უშოვნია ქმარი. კლუბის წევრად ჩარიცხვის დროს ახალი წევრი პირობასა სდებს, რომ აღარ გათხოვდება. ვინც ამ პირობას დაარღვევს კლუბის წევრობისაგან დათხოვნილ იქმნება. კლუბში წევრად შესვლის ნება აქვთ ქვრივებსა და ქმარგაშვებულ დედაკაცებს იმავე პირობებით.

◆◆

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

29 ოქტომბერი

ილტა. ოსმალეთის საგანგებო საელჩოს წევრნი ლივადიის სასახლეში მოვიდნენ და მისის უდიდებულესობის წინაშე წარსდგნენ. შემდეგ საელჩოს წევრნი უმაღლესს სადილზედ იქმნენ მიწვეულნი. სადილის დროს იმპერატორმა სულთანის სადღეგრძელო წარმოსთქვა.

პარიჟი. პალატამ ვიცე-პრეზიდენტებად აარჩია კოშრი და ეინარი.

ათინა. ახალის კაბინეტის შედგენა მიენდო ზაიმისს. წინანდელ სამინისტროს წევრთაგან რჩებიან შინაგან საქმეთა და ზღვათა მინისტრები.

ბერლინი. „კელნის გაზეთ“-ში დაბეჭდილია: „ის ამბავი, რომ იმპერატორი მეუღლითურთ დაბრუნდება ბერლინში გენუაზედ რკინის გზითო, —მართალი არ გამოდგა. იმპერატორი და იმპერატრიცა კადიკსში გაჩერდებიან, შემდეგ ჩრდილოეთის ზღვის ერთ-ერთს ნავთსადგურში ნაპირზედ გადავლენ, ასე რომ 15 27) ნოემბერს იმპერატორი თვით გახსნის პარლამენტის სესსიას“.

პარიჟი. საკასაციო სასამართლოს მოთხოვნილებით, ხელ ახლა გაუჩხრიკეს სახლი და დაბეჭდეს ქაღალდები იმ კაცისა, რომელსაც კავშირი ჰქონია ესტერგაზისთან. ესტერგაზის მრავალი წერილი საკასაციო სასამართლოს გარდაეცა. „Aurore“ ამბობს, რომ ამას კარგი შედეგი ექმნება: იგი დაამტკიცებს, რომ ესტერგაზი დამნაშავეაო.

კლემანსო აცხადებს „Aurore“-ში, რომ ხვალ პიკარი განთავისუფლებულ იქმნებაო.

ამტკიცებენ, რომ იმ ქაღალდებში, რომელიც ესტერგაზის წაართვეს, იპოვნეს ისეთსავე ქაღალდზედ დაწერილი წერილი, როგორზედაც ბორდერო არის დაწერილიო.

მადრიდი. მთავრობას აცნობეს, რომ გემი, რომელზედაც იმპერატორი ვილჰელმია, კადიკსში 8 (20) ნოემბერს მოვაო. შეძლება იმპერატორი მადრიდშიაც მოვიდეს.

29 ოქტომბერი

ლონდონი. გილდ-ჰოლში გამართულ ნადიმის დროს სალისბიურიმ ილაპარაკა სუდანისა და ინდოეთის ბრწყინვალე ექსპედიციებისა და ევროპის კონცერტის კრიტის საქმეში ნაყოფიერ მოქმედების შესახებ. „სულ ცოტა ხანია მას შემდეგ, —განაგრძო სალისბიურიმ,— რაც ვფიქრობდით, რომ ევროპაში ომი მოხდებაო. საქმე საკეთილოდ დაბოლოვდა, თუმცა ერთ ხანად ისე გვეგონა, რომ იგი სხვა გვარად დაბოლოვდებაო. იმ სამაგალითო კეთილგონიერებამ და წინდახედულმა მოქმედებამ, რომელიც საფრანგეთმა ამ განსაკუთრებულ, ძნელ გარემოებათა დროს გამოიჩინა, გადაარჩინა ევროპა საშიშ ქარიშხალისაგან. ომი იქნებ ისე არ იყო კარს მომდგარი, როგორც ამას გაზეთები გაიძახოდნენ, მაგრამ ამა და აგრეთვე სხვა მრავალმა მოსაზრებამ აიძულა მთავრობა წინდაწინვე თადარიგი დაეჭირა, რათა განსაცდელი მოუმზადებელს არ დასტეხოდა თავს. ჰკვირობენ—ეს მზადება რატომ უეცრად არ მოისპოო; მაგრამ თვალის დახამხამებაზედ არ შეიძლება უკვე მიღებულის ზომების მოსპობა. კარგად ვიცი: ბევრი მითქმა-მოთქმა გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ ჩვენს თოფხანებში დღემდის მოძრაობა და მზადებაა. ამბობენ, ვითომც ჩვენ კრიტისა და სირიის მითვისება გვინდოდეს ან კიდევ უზენაესის უფლების განცხადება ეგვიპტეზედ. ჩვენ კმაყოფილნი ვართ იმ მდგომარეობით, რა მდგომარეობაც დღეს ეგვიპტეში გვიჭირავს და ამ ჟამად არავითარ მიზეზს არა ვხედავთ შევცვალოთ იგი. არ ვამბობ, რომ ამ მდგომარეობაზედ არავითარი გავლენა არა ჰქონდა ამ უკანასკნელ სამს თვეში მომხდარ ამბებსა მეთქი; ომდურმანთან გამარჯვების შემდეგ ეს მდგომარეობა ისეთი აღარ არის, როგორიც მანამდე იყო. მე იმედი მაქვს, რომ ისეთი რამ არ მოხდება, რამაც საჭირო ჰყოს ეგვიპტეში ჩვენის მდგომარეობის შეცვლა, რადგანაც დარწმუნებული ვარ, რომ ამ შემთხვევაში ქვეყანაზედ ისეთი მშვიდობიანობა აღარ იქნება, როგორც ეხლა არის“. სალისბიურიმ დიდად შეაქო რუსეთის იმპერატორის წინადადება იარაღის აყრის შესახებ და სთქვა, რომ „ამ წინადადებამ მოიპოვა მხურვალე თანაგრძნობა და ინგლისიც მხარს დაუჭერს მას, მაგრამ ვიდრე ეს ცდა სასურველ ნაყოფს მოიტანდეს, ჩვენ უნდა ვიფიქროთ კარს მომდგარ განსაცდელზედ და თადარიგი დავიჭიროთ“-ო. სალისბიურიმ ილაპარაკა შემდეგ ამერიკის ძლიერების შესახებ, იმ ამერიკისა, რომელმაც ევროპის ერთა შორის ადგილი დაიჭირა. „ეს გარემოება მეტად საყურადღებოა; მან შეიძლება მშვიდობიანობის საქმეს სამსახური ვერ გაუწიოს, მაგრამ, ყოველს შემთხვევაში, ინგლისის ინტერესებს-კი გაუწევს სამსახურს“-ო შემდეგ სალისბიურიმ სთქვა: „ამ ჟამად ომები საშიშის სისწრაფით ჩნდებიან. ჩვენი სახელმწიფო—დიდი სახალშენო საზღვაო სახელმწიფოა და იმპერიის დასაცველად საკმაო ძალა რომ არ მოგვეპოვებოდეს, შესაძლებელ იყო, ჩვენი სახელმწიფო უეცრად დარღვეულიყო. აი ამიტომ არ შეგვიძლიან სიფრთხილეს და მზადებას თავი გავანებოთ. იგი გამარჯვების სურვილს არ გამოუწვევია. ჩვენ გვძულს ომი, მაგრამ ვალდებული ვართ იმპერია შთამომავლობას ხელ-უხლებელი გადავცეთ.“

◆ ◆

открыта подписка на 1899 годъ
на ежемѣсячный литературно-историческій журналъ
„ВѢСТНИКЪ ИНОСТРАННОЙ ЛИТЕРАТУРЫ“

Въ 1899 году „ВѢСТНИКЪ ИНОСТРАННОЙ ЛИТЕРАТУРЫ“ будетъ попрежнему неуклонно преслѣдовать поставленную при его основаніи главную задачу—давать **общедоступное, разнообразное, литературно-художественное чтеніе**, знакомя въ хорошихъ переводахъ съ лучшими, какъ новѣйшими, такъ и классическими произведеніями всѣхъ выдающихся иностранныхъ изящныхъ литературъ. Вмѣстѣ съ тѣмъ, какъ въ отдѣльныхъ статьяхъ, такъ и въ болѣе краткихъ очеркахъ и замѣткахъ, въ „заграничной хроникѣ“, состоящей изъ отдѣловъ: 1) Общественная жизнь, 2) Историческія новости, 3) Изъ области науки, 4) Литература и печать, 5) Искусство—театръ, музыка, живопись, и пр. и 6) Смѣсь,—„ВѢСТНИКЪ“, внимательно слѣдя за иностранною жизнью во всѣхъ ея характерныхъ проявленіяхъ, будетъ сообщать **обо всемъ новомъ, выдающемся, интересномъ** въ заграничной **общественной жизни, наукѣ, литературѣ и искусствѣ.**

Намѣреваясь дать своимъ подписчикамъ въ видѣ безплатныхъ приложеній, въ теченіе нѣсколькихъ лѣтъ, **серію произведеній классическихъ писателей, иллюстрированныхъ лучшими иностранными художниками**, редакція „Вѣстника Иностранной Литературы“ и въ будущемъ году разошлетъ своимъ подписчикамъ при январьской книгѣ

БЕЗПЛАТНОЕ ОТДѢЛЬНОЕ ПРИЛОЖЕНІЕ
первое на русскомъ языкѣ
иллюстрированное собраніе сочиненій
МОЛЬЕРА

съ біографіей, портретами знаменитаго писателя, его жены и дочери, множествомъ копій съ наилучшихъ гравюръ и примѣчаніями.

въ это изданіе войдутъ слидующія 19 пьесъ мольера:

1) Взбалмошный, 2) Любовная досада, 3) Жеманницы, 4) Сганарелль или Мнимый рогоносецъ, 5) Школа мужей, 6) Школа женъ, 7) Бракъ по неволѣ, 8) Донъ-Жуанъ, 9) Мизантропъ, 10) Докторъ по неволѣ. 11) Тартюфъ, 12) Амфитріонъ, 13) Жоржъ Данденъ, 14) Скупой, 15) Господинъ де-Пурсоньякъ, 16) Мѣщанинъ во дворянствѣ, 17) Продѣлки Скапена, 18) Ученыя женщины и 19) Мнимый больной.

Остальныя пьесы, имѣющія въ настоящее время болѣе историко-литературное значеніе, чемъ художественное, будутъ помыщены въ пересказѣ. Каждая изъ пьесъ будетъ иллюстрирована нѣсколькими копіями съ гравюръ-офортовъ двухъ наиболѣе замѣчательныхъ иллюстраторовъ Мольера—**Эдмонда Гедуэна**, получившаго во французскомъ „Салонѣ“ 1888 году высшую награду за „Illustrations pour le théatre de Molière, и **Луи Лелуа**. Оба художника-иллюстратора соперничаютъ другъ съ другомъ въ изяществѣ и тонкости исполненія, въ умѣніи выбрать для иллюстраціи характерную, интересную сцену, въ вѣрности пониманія и искусствѣ воплощенія Мольеровскихъ типовъ, въ глубокомъ знаніи внѣшней культуры XVII вѣка. Кромѣ того, будутъ воспроизведены гравюры и другихъ французскихъ иллюстраторовъ Мольера.

Собраніе сочиненій МОЛЬЕРА составитъ большой **иллюстрированный томъ** (около 640 стр.)

Въ январьской и послѣдующихъ книгахъ „Вѣстника“ будутъ помѣщены какъ **крупнѣйшія новости**, такъ, и появившіяся въ паслѣдніе годы, но еще неизвѣстныя русскимъ читателямъ,

ТАЛАНТЛИВѢЙШІЯ ПРОИЗВЕДЕНІЯ

французской, нѣмецкой, англійской, италянской, испанской, польской, датской, Шведской и голландской литературъ.

Кромѣ того, съ особою нумераціею страницъ, въ приложеніи къ „Вѣстнику“ появятся ВПЕТВЫЕ НА РУССКОМЪ ЯЗЫКѢ лучшія новеллы изъ „**ГЕПТАМЕРОНА**“ французской принцессы **Маргариты Наваррской** съ иллюстраціями (копіями съ гравюръ) и въ извлеченіи

МЕМУАРЫ ЗНАМЕНИТЫХЪ АВАНТЮРИСТОВЪ XVIII ВѢКА..

„ГЕПТАМЕРОНЪ“—это сборникъ новеллъ, написанныхъ въ духѣ Боккачіо, поэтичныхъ и соединяющихъ занимательность сюжетовъ съ поучительностью и остроуміемъ. Изъ французскихъ подражателей Боккачіо Маргарита Наваррская—наиболѣе извѣстная и талантливая.

„МЕМУАРЫ ЗНАМЕНИТЫХЪ АВАНТЮРИСТОВЪ“, заключая въ себѣ множество цѣнныхъ культурно-историческихъ данныхъ и, давая рѣзко очерченные портреты личностей, имѣвшихъ значеніе въ политикѣ, читаются, какъ увлекательный романъ, полный удивительныхъ необычайныхъ приключеній.

подписная цѣна на 1899 годъ
съ доставкою и пересылкою **5** р | безъ доставки и пересылки **4** р. **50** к. | За Собр.соч. „мольера“въ изящн.перепл. приплачивается 50к.

гг. служащіе въ казенныхъ и частныхъ учрежденіяхъ пользуются разсрочкою, за поручительствомъ гг. казначеевъ и лицъ, завѣдующихъ подпиской.

Подписка принимается: въ **С.-Петербургѣ**—въ Конторѣ Редакціи, ГОСТИНЫЙ ДВОРЪ, Зеркальная линія, № 63. магазинъ ПАНТЕЛЕЕВА (прот. Пажескаго Корп.), въ **Москвѣ**—въ Конторѣ Н. Н. ПЕЧКОВСКОЙ, Петровскія линіи, **а гг. иногородніе благоволятъ адресоваться** въ редакцію, СПБ., Верейская ул., д. № 16, собств.

Издатель **Г. Ѳ. Пантелеевъ** Редакторъ **С. С. Трубачевъ**

ПОСТУПИЛЪ ВЪ ОТДѢЛЬНУЮ ПРОДАЖУ
„ДЕКАМЕРОНЪ“ джіованни боккачіо
Цѣна безъ переплета 2 р., въ изящномъ переплетѣ 2 р. 50 к., пересылка 50 к.

изящные коленкоровые переплеты
для иллюстрированнаго изданія Джіованни Боккачіо „ДЕКАМЕРОНЪ“
Цѣна 50 коп., на пересылку прилагать за 1 фунтъ по разстоянію.

открыта подписка на новые 60 томовъ
собранія сочиненій
ИЗБРАННЫХЪ ИНОСТРАННЫХЪ ПИСАТЕЛЕЙ

„Собраніе сочиненій избранныхъ иностранныхъ писателей“ будетъ выходить съ 15 Декабря 1898 г. по 5 томовъ въ мѣсяцъ.

Изъ этихъ 60 томовъ 12 составятъ собраніе лучшихъ романовъ **Виктора Гюго**, а 48—дополненіе къ прежней серіи 144 томовъ: въ нихъ будутъ помѣщены произведенія 10 ти нижепоименованныхъ авторовъ, не вошедшія въ 144 тома.

12 томовъ романовъ ВИКТОРА ГЮГО
(„Соборъ Парижской Богоматери“, Послѣдній день приговореннаго къ смертной казни“, „Исторія одного преступленія“, „Труженики моря“, „Человѣкъ, который смѣется“, „Девяносто третій годъ“ и „Отверженные“).

Эмиля Зола	— 5	томовъ романовъ, повѣстей, разсказовъ и очерковъ.
О. Бользака	— 8	томовъ романовъ.
ЖорЖъ Занда	— 3	тома романовъ, повѣстей и разсказовъ.
Ч. Диккенса	— 7	томовъ романовъ, очерковъ и разсказовъ.
Вальт. Скотта	— 6	томовъ историческихъ романовъ.
Бретъ-Гарта	— 3	тома повѣстей и разсказовъ.
Марка Твена	— 3	тома повѣстей и разсказовъ.
Шпильгагена	— 7	томовъ романовъ и повѣстей.
Т. Гопфмана	— 2	тома сочиненій.
Георга Эберса	— 4	тома историческихъ романовъ.

48 томовъ произведеній, не вошедшихъ въ 144 тома.

ЦѢНА ТОЛЬКО ПО ПОДПИСКѢ:
ЗА 60 ТОМОВЪ безъ доставки 15 р. съ доставкою въ С.-Петербургѣ и съ пересылкою въ другіе города 20 р.

собраніе романовы Виктора Гюго появится впервые въ такомъ общедоступномъ изданіи.

разсрочка допускается на слѣдующихъ основаніяхъ:

Подписчикамъ безъ доставки: при подпискѣ вносится въ задатокъ 3 руб., къ 15 Декабря 1898 г. вносится вторично 3 руб., а затѣмъ по 3 руб. къ 15 Марта, къ 15 Іюня и къ 15 Сентября 1899 г. Подписчикамъ съ доставкою: при подпискѣ вносится въ задатокъ 4 руб., къ 15 Декабря 1898 г. вносится вторично 4 р., а затѣмъ по 4 р. к. 15 Марта, къ 15 Іюня и къ 15 Сентября 1899 г.

Подписка принимается: въ С.-Петербургѣ—въ Конторѣ журнала, Гостиный дв, Зеркальная л., № 63, магазинъ Пантелеева; въ Москвѣ—въ Конторѣ Н. Н. Печковской, Петровскія линіи, а гг. иногородніе благоволятъ адресоваться въ Редакцію, С.-Петербургъ, Верейская ул., № 16, собст.

Издатель **Г. Ѳ. Пантелеевъ.** Редакторъ **С. С. Трубачевъ.**

открыта подписка
НА 72 КОЛЕНКОРОВЫЯ ТИСНЕННЫЯ ЗОЛОТОМЪ КРЫШКИ
для переплетовъ 144 томовъ.

Цѣна за 72 крышки 14 р. 40 к. безъ пересылки.

За пересылку по почтѣ за 22 фунта, по разстояніямъ; до станцій желѣзныхъ дорогъ, багажемъ, безъ различія разстоянія, 1 р.—Наложеннымъ платежомъ не высылаются.—Адресоваться: въ Редакцію „Вѣстника Иностранной Литературы“, СПБ., Верейская, 16.

(6—უ.—1)

Дозволено цензурою, Тифлисъ 29 го Октября 1898 г
სტამბა ჰ. შარაძის და ამხანაგობის.
რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე